საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის ივლისის 15.	№ 6. განყოფილება პირველი	ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემ.

შინაარსი:

მუხ. 667. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატების სპეციალური სახსარის შესახებ სამეცნიერო დაწესებულებათა განყოფილებისათვის.

„ 668. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების სპეციალური სახსარის შესახებ სამეცნიერო-საჩვენებელი და სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათათვის,

„ 669. გაზის მილების საგასაყიდო ღირებულების შესახებ.

„ 670. დაწესებულებათა მიერ კურსებზე წარგზავნილ პირთათვის ხარჯების კომპენსაციის შესახებ.

„ 671. პენსიონერთა პრეტენზიების შესახებ.

„ 672. საამშენებლო მუშაობის წარმოების დროს უშიშროების ღონისძიებათა შესახებ.

„ 673. ხანძართა სტატისტიკური აღნუსხვის შესახებ.

„ 674. სასაკლაო და ქალაქის მოედნებზე საკლავი საქონლისა, დაკლული საქონლის ხორცისა, ხორცეული პროდუქტებისა და თევზის ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

„ 675. სანატორიუმებში და დასვენების სახლებში წასვლისათვის საჭირო სამგზავრო ხარჯების გადახდის წესის შესახებ.

„ 676. საზაფხულო პერიოდში სხდომების აკრძალვის შესახებ ყოველკვირეული დასვენების წინა-დღის 12 საათიდან შემდგომი სამუშაო დღის 11 საათამდე.

„ 677. ამიერკავკასიის საკონტროლო ციფრების შესახებ.

» 678. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის სხდომებზე სახალხო კომისარიატების წარმომადგენლობის შესახებ.

„ 679. მოსაწევი წყლის საბითუმო და ცალობითი (საეტიკეტო) ფასების შესახებ.

„ 680. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების შეცვლის შესახებ.

„ 681. სპირტის სასმელების შენახვისა და გასაღების წესების დარღვევისათვის კონფისკაციაქმნილი საგნების გაყიდვით შემოსული ჯარიმისა და ფულის განაწილების შესახებ.

დადგენილება № 17 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

667. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატების სპეციალური სახსარის შესახებ სამეცნიერო დაწესებულებათა განყოფილებისათვის.

ყოველგვარი სამეცნიერო და სამეცნიერო-მხატვრული დაწესებულებისა, ბიბლიოთეკებისა და სამეცნიერო საზოგადოებების ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებს უფლება ეძლევათ იქონიონ სამეცნიერო დაწესებულებათა განყოფილებისათვის სპეციალური სახსარი, რასაც ისინი შემოსავლის სახით მიიღებენ:

ა) აღნიშნული დაწესებულებების მიერ გამართულ ლექციებზე, კონცერტებზე, გამოფენებზე და სანახაობზე დასწრებისათვის, აგრეთვე წიგნებისა, სახელმძღვანელოებისა და კოლექციების სარგებლობისათვის სასყიდლის გადახდევინებით;

ბ) ბიბლიოთეკებიდან წიგნების დუბლიკატებისა და სხვა გამოუყენებელი და ძაძველებული ქონების გაყიდვით, გამოცემის უფლებისა და თვით გამოცემათა გაყიდვით;

გ) აღნიშნული დაწესებულებების მიერ მოწყობილი ლაბორატორიებისა, სახელოსნოებისა, კაბინეთებისა და საწარმოთაგან და მათ განკარგულებაში ქონებული მიწის ნაკვეთებისა, შენობებისა და სხვ. ქონების ესპლოატაციით;

დ) სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან მიღებული დახმარებით, კერძო პირთა შეწირულებისა და სხვ. შემთხვევითი შემოსავლით.

2. სპეციალური სახსარის მიღებისა, შენახვისა და დახარჯვისა, აგრეთვე ანგარიშგების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციებით, რასაც გამოსცემენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები, იმავე რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

3. დავეალოს ა/კ. ფინანსათა სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან შეთანხმებით, შეადგინოს იმ დაწესებულებათა სია, რომლებზედაც ეს დადგენილება გავრცელებულ უნდა იქნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1925 წ. ოქტომბრის 1-დან.

აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. მაისის 28. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1191 №-ში 1926 წ. ივნისის 3-ს.

დადგენილება № 18 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

668. **აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების სპეციალური სახსარის შესახებ სამეცნიერო-საჩვენებელი და სამკურნალო სასანიტარო დაწესებულებათათვის.**

აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების სამეცნიერო-საჩვენებელი და სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებების ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს უფლება ეძლევათ იქონინ:

ა. სამეცნიერო-საჩვენებელი დაწესებულებათათვის სპეციალური სახსარი, რასაც ისინი მიიღებენ შემოსავლის სახით:

ა) აღნიშნული დაწესებულებების მიერ გამართულ ლექციებზე, კონცერტებზე, გამოფენებზე და სანახაოებზე დასწრებისათვის, აგრეთვე წიგნებისა, სახელმძღვანელოებისა და კოლექციების სარგებლობისათვის სასყიდლის გადახდევინებით;

ბ) გამოცემის უფლებისა და თვით გამოცემათა გაყიდვით;

გ) აღნიშნული დაწესებულებების მიერ მოწყობილი ლაბარატორიებისა, სახელოსნოებისა, კაბინეთებისა და საწარმოთაგან და მათ გამგებლობაში ქონებული მიწის ნაკვეთებისა, შენობებისა და სხვ. ქონების ექსპლოატაციით;

დ) სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან მიღებული დახმარებით, კერძო პირთა შეწირულებისა და სხვ. შემთხვევითი შემოსავლით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებებისათვის სპეციალური სახსარი, რასაც ისინი მიიღებენ შემოსავლის სახით:

ა) მკურნალობისა და ყოველგვარი სამკურნალო დახმარების აღმოჩენისათვის სასყიდლის გადახდევინებით;

ბ) კლინიკებისა, სახელოსნოებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვაგვარი სამკურნალო-დამხმარე დაწესებულებათა მეურნეობრივი გამოყენებით;

გ) სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებების მიერ მოწყობილ საწარმოთაგან;

დ) კერძო პირთა შეწირულებით, სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათათვის მიჩენილ სახლებში სადგომების გაქირავებით და სხვ. შემთხვევითი შემოსავლით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული სპეციალური სახსარი შეიტანება სამეცნიერო-საჩვენებელი და სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებების ბიუჯეტებში; ამასთანავე ხარჯთ-აღრიცხვაში ამ შემოსავლის აღნიშვნის გამო შემცირებულ არ უნდა იქნეს არსებული ასიგნები.

3. სპეციალური სახსარი მოხმარდება სამკურნალო-სასანიტარო საქმის გაუმჯობესებასა და გაფართოებას საბიუჯეტო თანხების დამატებად, სპეციალურ მოწყობილებას, ახალ სამკურნალო მეთოდების შემოღებას, ავადმყოფთა სადიეტო კვების გაუმჯობესებას, იარაღებისა და ინვენტარის შეძენას, დროებითი შტატგარეშე სამედიცინო და ტეხნიკური პერსონალის შენახვას.

4. სპეციალური სახსარის მიღებისა, შენახვისა და დახარჯვისა, აგრეთვე ანგარიშგების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციებით, რასაც გამოსცემენ ა|კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები, იმავე რესპუბლიკების ჯამრთელობის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

5. დაევალოს ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ა|კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან შეთანხმებით, შეადგინოს იმ დაწესებულებათა სია, რომლებზედაც გავრცელებულ უნდა იქნეს ეს დადგენილება.

6. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1925 წ. ოქტომბრის 1-დან.

ა|კსფსრ სახალხო კომისართა.
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა|კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. მაისის 28. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1191 №-ში 1926 წ. ივნისის 3-ს.

დადგენილება 28|84 ა|კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალ-ხო კომისარიატისა.

(მოწესრიგების განყოფილება)

1926 წ. მაისის 27.

669. გაზის მილების საგასაყიდო ღირებულების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად— ა|კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1925 წ. ივნისის 10-ს თარიღისა და 46 №-რის, დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 925 №-რი 1925 წ. ივლისის 14-სა) 1-ლი §-ს შეცვლისა და დამატებისათვის, ადგენს:

ყველა რაოდენობის გაზის მილების საგასაყიდო ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს არა ერთი ფუთის ღირებულების ანგარიშით, არამედ სიგრძით ერთი მეტრის ღირებულების ანგარიშით; ამის გამო 1925 წლის ივლისის 10-ს თარიღისა და 46 №-რის დადგენილების 1-ლი §-ს ის ნაწილი, რაც გაზის მილების ღირებულებას შეეხება, შეცვლილ და შევსებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად.

გაზის მილი სიგრძით 1 მეტრი $^1/_8$ გოჯიანი—26 კაპ., $^1/_4$ გოჯ.—30 კაპ., $^3/_8$ გოჯ.—37 კაპ., $^1/_2$ გოჯ.—52 კაპ., $^3/_4$ გოჯ.—70,5 კაპ., 1 გოჯ.—1 მან. და 04 კ., $1^1/_4$ გოჯ.—1 მან. და 41 კაპ., $1^1/_2$ გოჯ.—1 მან. 74 კაპ., $1^3/_4$ გოჯ.—2 მ. 11 კ., 2 გოჯ.—2 მან. და 30 კაპ., $2^1/_4$ გოჯ.—3 მან. და 04 კაპ., $2^1/_2$ გოჯ.—3 მან. და 52 კაპ., 3 გოჯ.—4 მან. და 26 კაპ., $3^1/_2$ გოჯ.—5 მან. და 38 კაპ.; 4 გოჯ. —6 მან. 49 კაპ., 5 გოჯ.—8 მან. 93 კაპ., 6 გოჯ.—12 მან. 42 კაპ., 7 გოჯ.— 16 მან. და 35 კაპ. და 8 გოჯიანი—21 მან. და 65 კაპ.

ა|კ შინავაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს
უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1191 №-ში 1926 წ. ივნისის 3-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტება № 5 ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1921 წ. ივნისის 1.

670. დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ კურსებზე წარვლენილ პირთა ხარჯების კომპენსაციის შესახებ.

რადგანაც მიღებულია შეკითხვები უწყებათა მიერ კურსებზე წარვლენილ მომუშავეთათვის დღიური სარგოს მიცემისა და კურსებზე ყოფნასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე ამ შემთხვევებზე ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წლის აპრილის 30-ს თარიღისა და 29 №-რის დადგენილების გავრცელების თაობაზე,—ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

1. ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. აპრილის 30-ს თარიღისა და 29 №-რის დადგენილება-„წარვლინებასთან დაკავშირებული ხარჯების კომპენსაციის შესახებ“—(იხ. შრომის მომქმ. კან. კრებ., 1926 წ. გამოც., მუხლი 228)—არ გავრცელდება იმ პირებზე, რომელნიც დაწესებულებისა, საწარმოს და მეურნეობის მიერ გაგზავნილ არიან კურსებზე კვალიფიკაციის წარმატებისათვის და სრულყოფისათვის.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთ კურსების გავლის განმავლობაში შეენახებათ სამსახურის ადგილი; რაც შეეხება შრომის საშოვარის შენარჩუნებასა და კურსებზე ყოფნასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას, საამისო სასყიდელი მათ ეძლევათ ამა თუ იმ კურსების გავლისათვის სპეციალურად შემუშავებული და წინასწარ განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ა|კ. შრომის სახალხო
კომისარი **იაშვილი.**

შრომის სახალხო კომისარიატის
საერთო-საორგ. განყოფილების გამგე **ნასყიდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1196 №-ში 1926 წ. ივნისის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარი № 23 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. ივნისის 7.

671. პენსიონერთა პრეტენზიების დაკმაყოფილების წესების შესახებ წარსული დროისთვის.

იმ გაუგებრობის გამო, რაც წარსული დროისთვის პენსიონერებთან ანგარიშის გასწორების დროს მოხდა, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი, „შრომის ინვალიდებისათვის და გარდაცვალებულთა ოჯახებისათვის პენსიის დანიშვნის შუამდგომლობის აღძვრის ხანდაზმულობის ვადის შესახებ“ 1924 წ. ივნისის 17-ს თარიღითა და 119 №-რით გამოცემული ცირკულიარის განსავითარებლად წაწინადადებას იძლევა სახემძღვანელოდ მიღებულ იყოს შემდეგი:

1. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პენსიონერის საჩივრის გამო საქმის გადასინჯვისას აღმოჩნდება, რომ დამზღვევმა სალარომ, რომელსაც საქმეში ყველა დოკუმენტი ჰქონდა, პენსია სწორედ არ გამოიანგარიშა, პენსიის ახალი რაოდენობით გამოანგარიშება გავრცელებულ უნდა იქნეს წარსულ დროზედაც.

ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პენსიის რაოდენობის არასწორი გამოანგარიშება გამოირკვა პენსიონერის მიერ წარდგენილი ახალი დოკუმენტების საფუძველზე, პენსია ახალი რაოდენობით გამოანგარიშებულ უნდა იქნეს პენსიონერის მიერ ახალი დოკუმენტების წარდგენის დღიდან.

2. უკეთუ პენსიონერი, რომელიც პენსიას პირველი განცხადების შეტანის დღიდან არ იღებს, საკითხს აღძრავს პენსიის ძველი წლებისათვისაც მიცემის შესახებ, ე. ი. იმ დღიდან, რა დღესაც მან დამზღვევ სალაროს პირველად მიმართა, პენსიონერის პრეტენზია არადასაკმაყოფილებელ პრეტენზიად უნდა ჩაითვალოს.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი და ა/კ. შრომის სახალხო
კომისარიატის სოც. დაზღ. მთავარ სამმართ. უფროსი **იაშვილი.**

შრომის დაცვის განყოფილების გამგე **ნასყიდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1198 №-ში 1926 წ. ივნისის 11-ს.

№ 32 ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 32 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

672. საალმშენებლო მუშაობის წარმოების დროს უშიშროების ღონისძიებათა შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1926 წლის მაისის 4-ს დამტკიცებული 103—340 №-რის დადგენილება „წესები საალმშენებლო მუშაობის წარმოების დროს უშიშროების ღონისძიებათა შესახებ“ (გამოქვეყნებილია „სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის იზვესტია“-ს მე-18 №-რის 5—11 გვერდ. 1926 წ. მაისის 20-ს).

ამა წესების სამოქმედოდ შემოღებისათანავე გაუქმებულია ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წლის თებერვლის 28-ს თარიღისა და მე-14 №-რის დადგენილება „სამოქალაქო აღმშენებლობის მუშაობის წარმოების დროს შრომის უშიშროების წესების შესახებ“.

ა/კ. შრომის სახალხო
კომისარი **იაშვილი.**

შრომის დაცვის განყ. გემგე **ნასყადოვი.**

ტეხნიკური უშიშრ.
სექციის გამგე **პოლისადოვი.**

გვმოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1198 №-ში 1926 წ. ივნისის 21-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

673. ხანძართა სტატისტიკური აღნუსხვის შესახებ.

ხანძართა სტატისტიკური აღნუსხვისათვის ა/კსფსრ ტერიტორიაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დაეკისროს ადგილობრივ მილიციას ან სახანძარო რაზმების უფროსებს (ადგილობრივი აღმ. კომიტეტების შეხედულებისამებრ)—ქალაქად და საქალაქო ტიპის დასახლებულ ადგილებში, სასოფლო საბჭოებს ან საუბნო, სადაირო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს—სოფლად და იმ მიწების ფარგალში, რომ-

ლებიც ამ სოფლებზეა მიწერილი, სახელმწიფო დაწესებულებათა და სახელმწიფო საწარმოთა ადმინისტრაციას, უკეთუ მათ კუთვნილ ქონებაში ან იმ ქონებაში, რომელიც მათ სარგებლობაშია, ხანძარი მოხდება, გაუგზავნონ ხოლმე ა/კ. სახ. დაზღვევის საუბნო (ან სამაზრო, იქ, სადაც საუბნო საგენტო მოწყობილი არ არის) დამზღვევ აგენტს, არა უგვიანეს 7 დღისა ხანძარის შემდეგ, სახანძარო აქტი დადგენილი ფორმით.

შენიშვნა. რეგისტრაციაში ამა დადგენილების წესისამებრ არ უნდა იქნეს გატარებული ის ხანძარი, რაც გზათა სახალხო კომისარიატისა, სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამხედრო მრეწველობის მთავარ სამმართველოს და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ტყეთა სამმართველოს ქონებაში მოხდება.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. **შავერდოვი.**

1926 წ. მაისის 24. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1188 №-ში 1926 წ. მაისის 30-ს

ინსტრუქცია შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

674. სასაკლაო და ქალაქის მოდნებზე საკლავი საქონლისა, დაკლული საქონლის ხორცისა, ხორცეული პროდუქტებისა და თევზის ყიდვა-გაყიდვის წარმოების შესახებ.

1. საკლავი საქონლისა, დაკლული საქონლის ხორცისა და თევზის პროდუქტების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა სწარმოებს მარტოოდენ სასაკლაო და ქალაქის ბაქანებზე და მოწესრიგდება სათანადო ბირჟის ხორცის სექციის სამაკლეროს მეშვეობით.

2. სასაკლაო ბაქანზე შესვლისა, ყიდვისა, გარიგების მოწესრიგებისა და საქონლის დაკვლის უფლება აქვს:

ა) სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელიც საკლავი საქონლის განმზადების საქმეს აწარმოებს ან რომელიც დაკლული საქონლის ხორცის ვაჭრობას ეწევა;

ბ) კერძო ხორცის მოვაჭრეს, რომელიც დაკლული საქონლის ხორცის ვაჭრობას ეწევა როგორც ბითუმად, ისე ცალობით, აქვს დუქნის თვალი სასაკლაოს და ბირჟის სამყოფელ ადგილას და სათანადო პატენტი ვაჭრობის წარმოებისათვის;

გ) იმ პირს, რომელსაც ზემოაღნიშნული დუქნის თვალისა და სავაჭრო პატენტის მქონე პირისაგან აქვს სანოტარო რწმუნებულება გარიგებათა დადებისათვის.

შენიშვნა 1. ერთსა და იმავე დროს პატენტისა და დუქნის თვალის ქონა სავალდებულო პირობაა, რაც ამა ინსტრუქციის მე-2 მუხ. აღნიშნულ ვაჭრობის უფლებას ანიჭებს;

შენიშვნა 2. საქმეზე ქარხნის მფლობელს უფლება აქვს იყიდოს და დაჭკლას საქონელი მარტოოდენ მისი ქარხნის გამოსავლიანობის ფარგალში, რასაც სათანადო ბირჟის ხორცის სექცია განსაზღვრავს;

დ) საქონლის ყურისგდებისა და დაკვლის საქმეში წახმარებისათვის სასაკლაო ბაქანზე შეიშვებიან ხელის ქვეითი პირები ან ნოქრები როგორც სახელმწიფო-საკოოპერაციო ორგანიზაციისა, ისე კერძო ხორცის მოვაჭრესი, რომელსაც ამა ინსტრუქციის მე-2 მუხლში აღნიშნული უფლება აქვს;

შენიშვნა. ხელ ქვეით პირს თუ ნოქარს უნდა ჰქონდეს თავისი ორგანიზაციისა ან სავაჭრო დაწესებულების მოწმობა, სადაც ის მუშაობს; მოწმობას წინასწარ რეგისტრაციას გაუკეთებს სათანადო ბირჟის ხორცის სექცია და ივავე გასცემს სასაკლაოს ბაქანზე შესვლის უფლებას.

3. ყველა ხორცის მოვაჭრე კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაცია, აგრეთვე კერძო ვაჭარი, რომელიც დაკლული საქონლის ხორცს სასაკლაო ბაქანის გარეშე იძენს გასაყიდად ან ორგანიზაციებისა და საწარმოთათვის ყიდვა-მისაწოდებლად ბითუმად თუ ცალობით, მოვალეა რეგისტრაციაგაუკეთოს თავის გარიგებას ქალაქის სახორცე ბაქანზე, სადაც ეს ბაქანი არსებობს.

4. საკლავ საქონლად იგულისხმება: მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ნერბი-ცხვარი, ვეოძი-ცხვარი და ღორი.

5. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში წინადადება ეძლევა მეთვალყურეობა იქონიოს ამა დადგენილობის სისწორით აღსრულებისათვის.

6. ამა ინსტრუქციის დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუალიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

ინსტრუქცია ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოყვეყნებისა.

ვამტკიცებ.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

1926 წ. მაისის 28. ქ. ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1200 №-ში 1926 წ. ივნისის 13-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარი № 29 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. ივნისის 15.

675. სანატორიუმებში და დასვენების სახლებში დაზღვეულთა წასასვლელად საწარმავლო ხარჯების გადახდის წესის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოში ცნობებია მიღებული, რომ ადგილ-ადგილ ამიერკავკასიის დამზღვევ ორგანოებს პრაქტიკად შემოღებული აქვთ დაზღვევის სახსართა ხარჯვა დასვენების სახლებში და სანატორიუმებში გაგზავნილ დაზღვეულთათვის საწარმავლო ხარჯისა და დღიური სარგოს მიცემით; ამით ისინი ადიდებენ ხარჯებსა და არყევენ დაზღვევის საქმის ბიუჯეტის სიმტკიცეს. ამის გამო ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი შემდეგ წინადადებას იძლევა აუცილებელი და მტკიცე შესრულებისათვის:

1. მოსპობილ იქნეს ფულის მიცემა დღიური ან საწარვლინებო სარგოს სახით დამზღვევი ორგანოების მიერ სანატორიუმში გასაგზავნ ავადმყოფ დაზღვეულთათვის, გარდა ავადმყოფობის გამო მისაცემი დახმარებისა და გზის ხარჯისა ფაქტიური ღირებულების მიხედვით.

შენიშვნა. იმ დაზღვეულს, რომელიც კურორტზე თავისი ხარჯით მიდის ან არა-დამზღვევი ორგანიზაციის მიერ იგზავნება, გარდა დროებითი შრომის უუნარობისათვის მისაცემი დახმარებისა, უკეთუ ეს დახმარება მას ერგება, სხვა არაფერი არ უნდა მიეცეს-რა.

2. მოსპობილ იქნეს ყველგან, სადაც ეს პრაქტიკაშია, ყოველგვარი საგზაო და დღიური სარგოს მიცემა იმ დაზღვეულთათვის, რომელთაც დამზღვევი ორგანოები დასვენების სახლებში ჰგზავნიან.

3. მოსპობილ იქნეს სრულიად ტრანსპორტით უფასოდ გადაყვანა დასვენების სახლებში გასაგზავნ დაზღვეულთა „დაზღვევის ფონდის“ ხარჯზე.

4. ყველა ის დადგენილება, რაც ა/კ. სოციალური დაზღვევის ორგანოებშია შემოღებული და ამა ცირკულიარს ეწინააღმდეგება, გაუქმებულ იქნეს დაუყოვნებლივ.

5. პასუხისმგებლობა ამა ცირკულიარის დარღვევისათვის დაეკისრება სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველოების უფროსებს და დამზღვევი კომიტეტების თავმჯდომარეებს.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი
და სოც. დაზღ. მთავ. სამმართ. უფროსი **იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
საერთო-საორგ. განყოფილების გამგე **ნ. ნასყიდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1203 №-ში 1926 წ. ივნისის 17-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

676. საზაფხულო პერიოდში სხდომების გამართვის აკრძალვის შესახებ ყოველკვირეული დასვენების წინა-დღის 12 საათიდან შემდგომი სამუშაო დღის 11 საათამდე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო ორგანოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე დაადგინონ—1926 წლის საზაფხულო პერიოდის განმავლობაში სექტემბერის 1-დე, —წესი, რომლითაც აიკრძალება ყოველგვარი სხდომის გამართვა შაბათი-დღის 12 საათიდან ორშაბათის 11 საათამდე, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ყოველკვირეული დასვენების დღედ პარასკევია,—ხუთშაბათის 12 საათიდან შაბათი-დღის 11 საათამდე.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე **აღამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ივნისის 21. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1208 №-ში 1926 წ. ივნისის 23-სა

დადგენილება № 19 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

677. ამიერკავკასიის საკონტროლო ციფრების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 20-სა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები 1926-27 წლისათვის.

საქართველოს სახელმწიფო

2. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მუშაობა საკონტროლო ციფრების შესადგენად უნდა აწარმოოს შეთანხმებით რესპუბლიკანურ სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან, რომელნიც მოვალენი არიან შესრულონ ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცალკე დავალებანი ამიერკავკასიის საკონტროლო ციფრების შესახებ.

3. ა/კსფსრ სახლმწიფო საგეგმო კომისიისა და რესპუბლიკანური სახელმწიფო საგეგმო კომისიების მუშაობის შესათანხმებლად ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მოეწყობა ამიერკავკასიის საკონტროლო ციფრების კომისია—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ორი წარმომადგენლისა და აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიების თითო წარმომადგენლის შედგენილობით.

კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს ა/კსფსრ სახემწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი. კომისიის გადაწყვეტილებანი დასამტკიცებლად წარედგინება ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს.

შენიშვნა. აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების წარმომადგენელნი გამოიწვევიან კომისიის სხდომაზე საჭიროებისადა მიხედვით.

4. საკონტროლო ციფრების შედგენის საქმეს ხელი უნდა შეუწყონ ცალკე სახლხო კომისარიატებმა და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს შეუძლიანთ დააკისრონ მათ რაიმე ცალკე სამუშაოს შესრულება იმ პროგრამისა და ვადის ფარგალში, რასაც დაამტკიცებს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი.

5. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მყოფი ყველა დაწესებულება, საერთო-საკავშირო, ფედერატიული, რესპუბლიკანური თუ ადგილობრივი, მოვალეა წარუდგინოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, რესპუბლიკანურ სახელმწიფო საგეგმო კომისიებს და იმ დაწესებულებათ, რომელთაც სახელმწიფო საგეგმო კომისიები დაავალებენ ცნობების შეკრეფას, ყოველგვარი ცნობა, რაც საჭირო იქნება საკონტროლო ციფრების შესადგენად, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული პროგრამით და მის მიერვე დადგენილ ვადაზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. ივნისის 10. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1210 №-ში 1926 წ. ივნისის 25-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 20 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

678. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის სხდომებში სახალხო კომისარიატების წარმომადგენლობის შესახებ.

რადგანაც საჭიროება მოითხოვს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა იცოდეს ხოლმე დაინტერესებული სახალხო კომისარიატის აზრი, ამ კომისარიატის პასუხისმგებელი წარმომადგენლის მეშვეობით, ამა თუ იმ საკითხის გამო, რაც პრეზიდიუმში განიხილება,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახალხო კომისარიატების წარმომადგენლობა ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმში განხორციელებულ უნდა იქნეს:

ა) სათანადო სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრთა სახით და

ბ) მუდმივი წარმომადგენლების სახით, რომელნიც საამისოდ რწმუნებამოსილნი იქნებიან სახალხო კომისარიატების მიერ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

2. სახალხო კომისარიატების მომუშავეთა მონაწილეობა ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის სხდომებში ტეხნიკური და სპეციალური საკითხების გამო შეიძლება სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი წარმომადგენლის წარდგენით, რომელიც სხდომაზე იმყოფება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. ივნისის 10. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1211 №-ში 1926 წ. ივნისის 26.

დადგენილება № 3187 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. ივნისის 22.

679. მოსაწევი წეკოს საბითუმო და ცალობითი (საეტიკეტო) ფასების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დებულების" შესახებ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნ. თანახმად—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაწესებულ იქნეს, რომ სსრკ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა საწეკოო ფაბრიკის მიერ გასაყიდად გამოშვებულ მოსაწევ წეკოს უნდა ჰქონდეს ეტიკეტი ფაბრიკის აღნიშვნით და წარწერით: „წონა—50 გრამი. ფასი—7 კაპ. ციმბირისა, შორეულ აღმოსავლეთისა, თურქისტანისა და ამიერკავკასიისათვის ფასი—8 კაპ. ამ ფასზე ძვირად გაყიდვა დაისჯება კანონით“.

შენიშვნა. ამიერკავკასიის ფაბრიკების წარმოების მოსაწევი წეკოს გასაყიდად გამოშვებისას, ის აღნიშვნები, რაც ამა დადგენილების 1-ლი მუხლითაა გათვალისწინებული და რაც აკლია ამიერკავსიის ფაბრიკების მიერ გამოშვებულ წეკოს ეტიკეტს, შეიძლება შეესებულ იქნეს სათანადო შტამპის დასმით ან დაწებებით.

2. დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი საბითუმო და წვრილ-საბითუმო საგასაცემო ფასები სსრკ ყველა ფაბრიკის მოსაწევ წეკოზე, გამოუნაკლისად:

ა) ფრანკო-ვაგონი უახლოესი გამგზავნელი სადგური—ყუთი (20 კილო), აქციზის ჩათვლით,—22 მან. და 70 კაპ.

ბ) ფრანკო-საწყობი, ფაბრიკის ფარგალის გარეშე,—22 მან. და 70 კაპ. პლიუს ფაბრიკიდან საწყობში საქონლის მისაზიდი ნამდვილი ხარჯი.

შენიშვნა. ა) როდესაც სრულიად რუსეთის წეკოს სინდიკატი, უკრაინის წეკოს ტრესტი და ცენტრალური კავშირი მიჰყიდის წეკოს ბითუმად ყველა ისეთ სავაჭრო ორგანიზაციას, რომელიც წეკოს ბითუმსა და ცალობით ვაჭრობას ეწევა, შეიძლება განსაკუთრებული შეთანხმებით წეკოს ნაკლბ ფასში დათმობა; ამასთანავე კოოპერატიულ ორგანიზაციას აუცილებლად უნდა დაეთმოს 1,5 პროც. მონაკლებით იმ საბითუმო-საგასაცემო ფასისა, რაც ამა დადგენილების 1-ლი მუხ. არის დაწესებული.

ბ) როდესაც წეკოს ყიდულობს ესა თუ სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაცია, აგრეთვე მარტოოდენ ცალობით მოვაჭრე საწარმო და პირი, გამყიდველის საგასაცემო ფასი ფრანკო-საწყობში შესდგება ცალობითი (საეტიკეტო) ფასისაგან მინუს მინიმუმ 10%-ნი მონაკლები.

3. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1211 №-ში 1926 წ. ივნისის 26-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

680. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წ. აპრილის 12-ს დამტკიცებული უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 636) 22 მუხლის შესაცვლელად და ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების შეცვლის შესახებ“ 1926 წ. მაისის 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 ხ. მე-5 № რი, მუხ. 654) გასაუქმებლად—ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ზემოხსენებული დებულების 22 მუხლში აღნიშნული ვადა,—რომლის შემდეგაც იმავე დებულების 21 მუხ. ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი გამოცხადებულ იქნება ძალადაკარგულ დოკუმენტად და ა/კსფსრ-ში ცხოვრების საფუძვლად არ გამოდგება,—ითვლებოდეს 1926 წ. ივლისის 10-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ივნისის 26. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1213 №-ში 1926 წ. ივნისის 29-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

679 681. სპირტის სასმელებისა და სპირტნარევი ნივთიერების უკანონოდ დამზადებისა, შენახვისა და გასაღებისათვის კონფისკაციაქმნილი საგნების გაყიდვით შემოსული ჯარიმისა და ფულის განაწილების წესის შესახებ.

შინა-ვ
26-ს ი
ა/კსფს

ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სპირტის სასმელებისა და სპირტნარევი ნივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიერების უკანონო დამზადებისა, შენახვისა და გასაღებისათვის ჯარიმად გადა ხდევინებული ფულის განაწილების წესის შესახებ“ 1924 წ. ივლისის 9-ს თან რიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1924 წ. მე-5 №-რის მუხ. 174) გასაუქმებლად და სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადი სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „აქციზისა, სპირტის სასმელებისა და თამბაქოს ნაკეთობის ვაჭრობის უფლებისათვის გადასახდევინებელი საპატენტო გამოსაღების თაობაზე გამოცემული დადგენილების დარღვევისათვის გადასახდელის დადების წესის შესახებ“ 1925 წ. ოქტომბრის 18 თარიღით გამოქვეყნებული (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 75 №-რი, მუხ. 564) დადგენილების მე 4 მუხ. შენიშვნის თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. არაპირდაპირ გადასახადთა შესახებ გამოცემულ დადგენილებების დარღვევისათვის, რაც დაკავშირებულია სპირტის სასმელებისა და სპირტნარევი ნივთიერების უკანონო დამზადებასა, შენახვასა და გასაღებასთან, სასამართლო და ადმინისტრატიული წესით დადებულ ჯარიმებიდან და აგრეთვე ასეთი საქმეების გამო კონფისკაციაქმნილი საგნების გაყიდვით შემოსული თანხებიდან 50% გადაირიცხება აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივ სახსარში, ხოლო 50% მიეცემა აღმომჩენელთ და დამჭერთ.

2. ადმინისტრატიულის წესით განხილული საქმეების გამო არაპირდაპირ გადასახადთა წესების დარღვევათაგან გადასახდელის დადების შესახებ მიღებულ დადგენილებათა აღსრულება დაეკისრება არაპირდაპირ გადასახადთა აგენტებს, ხოლო სახალხო სასამართლოების განაჩენები სისრულეში მოიყვანება სასამართლო აღმასრულებლების მიერ.

3. გადახდევინებული ჯარიმა და ქონფისკაციაქმნილი საგნების გაყიდვით მიღებული თანხები შეტანილ უნდა იქნეს სათანადო ფინანსთა სახალხო კომისარიატისა ან მისი რწმუნებულის დეპოზიტში იმ ადგილას, სადაც არაპირდაპირ გადასახადთა წესების დარღვევა მოხდა. ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა ან მათი რწმუნებულების დეპოზიტში შესულ თანხებს გაანაწილებენ თითონ ისინი ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ივნისის 21. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1214 №-ში 1926 წ. ივნისის 30-ს.

ს. ს. ბ ჟ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. კლებ. პრ. № 91

2/IX—26. შეკ. № 1612/9767. მთავარლიტი 1214. ტირ. 800.